ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4833694

ნომერი: AR1728900

თარიღი : 15.01.2020

გაცემის თარიღი : 24.01.2020

გაცნობის თარიღი : 05.02.2020

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , შესახვევი ფაბრიციუსის , N 6;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი ოყროშიძე პ/ნ 01025006211
- თბილისი 0159, ვ. თოფურიძის 22, ბ. 36

ორგანიზაცია:

- შპს,,მზიური" კოდი: 405372886

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 27 სექტემბრის №4688095 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2019 წლის 15 იანვარს №AR1728900 განცხადებით მომართა ირაკლი ოყროშიძემ და მოითხოვა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 27 სექტემბრის №4688095 ბრძანებაში დამკვეთის ცვლილება.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2019 წლის 27 სექტემბრის №4688095 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში (სექტორი - ისანი) ფაბრიციუსის შეს. №6-ში მოქალაქე ილია ბახტურიძის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ:№01.17.01.023.016), სასტუმროს არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2019 წლის 28 სექტემბრიდან 2021 წლის 28 სექტემბრის ჩათვლით. სამსახურის 2019 წლის 27 სექტემბრის № 4688095 ბრძანებაში დამკვეთად დაფიქსირებულია ილია ბახტურიძე.

წარმოდგენილი განაცხადით, განმცხადებელი ითხოვს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 27 სექტემბრის №4688095 ბრძანებაში დამკვეთის ცვლილებას, კერძოდ, დამკვეთად ილია ბახტურიძის ნაცვლად შპს ,,მზიური''-ს (საიდენტიფიკაციო ნომერი: 405372886) დაფიქსირებას.

საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით (განცხადების რეგისტრაცია: №882020023845, მომზადების თარიღი: 14/01/2020) ქალაქ თბილისში, ფაბრიციუსის შესახვევი №6, №01.17.01.023.016 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს ,,მზიური'' (საიდენტიფიკაციო ნომერი: 405372886). მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერის მიხედვით, (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B20002016, 14/01/2020) შპს ,,მზიური''-ს (საიდენტიფიკაციო ნომერი: 405372886) ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ირაკლი ოყროშიძე.

საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის მიხედვით, მშენებლობის ნებართვის გაცემის ბოლო სტადიაზე მშენებლობის ნებართვის მაძიებელი/მშენებლობის ნებართვის მფლობელი შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთის ან მასზე განთავსებული ან ასაშენებელი შენობა-ნაგებობის ან მისი ნაწილის მესაკუთრე, მოსარგებლე ან მის/მათ მიერ უფლებამოსილი პირი, რომელსაც აქვს ობიექტის სამშენებლო განვითარების ინტერესი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ვინაიდან, დღეისათვის, მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს ,,მზიური'' (საიდენტიფიკაციო ნომერი: 405372886), რომლის უფლებამოსილი წარმომადგენელი სამსახურს მომართავს დამკვეთის ცვლილების მოთხოვნით, სამსახური მიზანშეწონილად მიიჩნევს მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების შეტანას და დამკვეთად შპს ,,მზიური'' (საიდენტიფიკაციო ნომერი: 405372886) დაფიქსირებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის თანახმად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 27 სექტემბრის №4688095 ბრძანებაში და დამკვეთად დაფიქსირდეს შპს ,,მზიური'' (საიდენტიფიკაციო ნომერი: 405372886).
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 27 სექტემბრის №4688095 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 27 სექტემბრის №4688095 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.